# საჩივრები — არჩევნების დემოკრატიულობის ლაკმუსი

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არჩევნები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ტესტია. მსოფლიომ აღიარა, რომ საქართველომ დემოკრატიულობის ტესტი წარმატებით ჩააბარა. ლოგიკურად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული საჩივრების და სამართალდარღვევის ფაქტების გაცნობით საზოგადოებას მივაწოდებთ საინტერესო ინფორმაციას, რა ტიპის დემოკრატიასთან გვაქვს საქმე, როგორი სახის ქმედება როგორ უკუქმედებას იწვევს დღევანდელ საზოგადოებაში, ერთი მხრივ ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოხატვა და მეორე მხრივ მცდელობა, რომ ამომრჩევლის ნება კონკრეტული ადამიანის ან პარტიის ინტერესებს დაემორჩილოს, რამდენად სამართლიანადაა შეფასებული და კანონმდებლობით განსაზღვრული. ჩემი აზრით, საჩივრების თემა ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდია ამის დასადგენად.

აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ არჩევნების დღეს, პირველ ოქტომბერს ლანჩხუთის 61-ე საოლქო-საარჩევნო კომისიაში ერთი საჩივარიც არ შესულა.

თუ რა ტიპის დარღვევები დაფიქსირდა ზოგადად საარჩევნო პერიოდში და რა რეაგირებები მოჰყვა დაფიქსირებულ ფაქტებს სამართლებრივად, გვესაუბრება კოალიცია ,,ქართული ოცნების" იურისტი, ბატონი ავთანდილ სარჯველაძე:

„ — მოდით, კონკრეტული ფაქტებით დავიწყოთ საუბარი იმ საჩივრებზე, რომლებიც უშუალოდ მე შევადგინე.

არჩევნების შემდეგ, 17 ოქტომბერს ,,ქართული ოცნების" ოფისში შემოვიდა ქალბატონ გულნარა შველიძის საჩივარ-განცხადება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში სოფელ ლესის რწმუნებული და მდივანი ახდენდნენ მასზე ზეწოლას, რათა გადასულიყო ,,ნაციონალური მოძრაობის" მხარეზე.

ქალბატონი გულნარა თავიდანვე ,,ქართული ოცნების" აქტიური მხარდამჭერი იყო.

განცხადების მიხედვით, იგი თუ გადავიდოდა „ნაციონალების" მხარეზე, პირდებოდნენ სოციალური დახმარების დანიშვნას და ერთჯერად დახმარებასაც. სოციალური დახმარების დანიშვნა არ იყო მათი კომპეტენცია, მაგრამ მაშინდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ამ დახმარებებს იყენებდა წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა მოსასყიდად.

გულნარა შველიძეს ცხრა სულიანი ოჯახი ჰყავს. ერთ-ერთი შვილი, რომელიც საკონტრაქტო სამსახურშია, ქალბატონ გულნარას განცხადებით, სამხედრო სამსახურიდან ჩამოიყვანეს და მას დაუპირისპირეს.

სოციალური დახმარება რომ ეკუთვნოდათ, ეს ერთი შეხედვითაც ეტყობა. ბოლოსდაბოლოს, მრავალსულიან ოჯახს ერთი საქონელიც არ ჰყავს.

ეს საჩივარ-განცხადება გადავუგზავნეთ პოლიციას, რადგან მასში დანაშაულის ელემენტები იკვეთებოდა და ჩვენს კომპეტენციას სცილდებოდა.

აღიძრა საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

შემდეგი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა და რომელიც ჩვენ დავაფიქსირეთ, ეხება ჩოჩხათის რწმუნებულის ქმედებას. მას ჩოჩხათის მოსახლეობა მასიურად და ორგანიზებულად ჰყავდა მიყვანილი სამოქალაქო რეესტრში ელექტრონული პირადობის მოწმობების გასაკეთებლად. ეს ფაქტი დაფიქსირდა 26 სექტემბერს ანუ წინასაარჩევნოდ არასამუშაო საათებში.

საჩივარ-განცხადებით მივმართეთ 61-ე საოლქო-საარჩევნო კომისიას. კომისიამ განიხილა საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მასალები გადაგზავნილიყო გურიის რეგიონულ პროკუტარურაში, რადგან ამ მასალებში ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნები იკვეთებოდა.

ალბათ საქმე აღძრული იქნება, პასუხი ჯერ-ჯერობით არ მიგვიღია.

გვაქვს კიდევ ერთი ფაქტი, ოღონდ ნიგვზიანის რწმუნებულთან დაკავშირებით. მან ინფო-9-ის მიერ მომზადებული სიუჟეტის მიხედვით 26 სექტემბერს წინასაარჩევნო მასალები და პლაკატები ჩამოხია ავტობუსის მოსაცდელიდან. ეს დაინახა თვითმხილველმა იოსებ აფხაზავამ, რომელიც იქვე ცხოვრობს და მაშინვე შეატყობინა ,,ოცნების" კოორდინატორს. შემთხვევის ადგილზე მაშინვე მივიდა ინფო-9.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი შევიტანეთ საოლქო-საარჩევნო კომისიაში, რომელმაც ჩვენი საჩივარი რეაგირებისათვის საკრებულოს გადაუგზავნა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული საჩივარი საკრებულომ განიხილა და უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა.

ახლა ვგეგმავთ საკრებულოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოში.

მომდევნო საჩივარი, რომელიც მოვამზადეთ, გახლავთ ნიგვზიანის რწმუნებულის თანაშემწის, ავთანდილ სურმანიძის გახმაურებული თემა თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ. მოტივი პოლიტიკურია. მის საკითხს მალე განიხილავს მესამე ინსტანციის სასამართლო.

ასევე ძალზე გახმაურებულია შემდეგი ფაქტი: ყველას ახსოვს, რომ ,,საქართველოს ბანკის" ლანჩხუთის ფილიალში არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე უჩვეულო რამ დაფიქსირდა, — ,,ოცნების" კარდაკარის პროგრამისა და კოორდინატორების ანგარიშებზე დაირიცხა დავალიანებები მილიონობით ლარის ოდენობით.

ბანკმა თავიდან ვერ განმარტა, თუ რა იყო ამის მიზეზი.

ჩვენმა ერთ-ერთმა კოორდინატორმა შოთა ფირცხალაიშვილმა ბანკომატიდან აიღო ქვითარი (ამოწმებდა, ანგარიშზე ჰქონდა თუ არა თანხა) და აღმოჩნდა, რომ მისი დავალიანება ერთი მილიონი ლარი იყო. ბატონი შოთა ისე ცუდად გახდა, რომ სასწრაფო-სამედიცინო მანქანით საავადმყოფოში გადავიყვანეთ. მას ინფაქტის წინა მდგომარეობა ჰქონდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით რაც მოგვეპოვებოდა, მასალები შევაგროვეთ და რადგან საქმეს ადვოკატი ესაჭიროებოდა, მივმართეთ ოზურგეთის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.

,,საქართველოს ბანკის" მიმართ უნდა აღძრულიყო სამოქალაქო სარჩელი თბილისში.

საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენთვის ჯერ ცნობილი არ არის.

თავიდან ბანკმა ვერ გვიპასუხა, რაში იყო საქმე, მოგვიანებით კი განმარტეს, რომ ტექნიკურ ხარვეზს ჰქონდა ადგილი.

ყოვლად დაუშვებელია კერძო სექტორმა ასეთი მორალური დაღი დაასვას ადამიანს.

დასასრულ მინდა კიდევ ერთი ფაქტის შესახებ გითხრათ, რომლის გამოც საოლქო-საარჩევნო კომისიას მივმართეთ.

ექვს სექტემბერს, სამუშაო საათებში შრომისუბანში საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამავე სოფლის გზის მოხრეშვას აწარმოებდა, რაც ჩვენი აზრით კომისიის თავმჯდომარის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა იყო.

ჩვენ ამ ფაქტის გამო საჩივრით მივმართეთ ლანჩხუთის 61-ე საოლქო-საარჩევნო კომისიას, მაგრამ კომისიამ ჩვენი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

არსებობს კიდევ რამდენიმე ფაქტი, რომლის თაობაზეც შეიძლებოდა საჩივრის დაწერა მაგრამ არსებული რეალობის გათვალისწინებით აღარ დავწერეთ..."

დაიწერა თუ არა საჩივრები ან დააფიქსირეს თუ არა რაიმე ტიპის დარღვევები ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა ან მხარდამჭერებმა, ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ რევაზ ჩიტიძეს (რომელიც საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა), მაგრამ მან 61-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან გადაგვამისამართა:

,, — საჩივრებთან დაკავშირებით კომენტარს საოლქო კომისიის თავმჯდომარე ზვიად ნაკაიძე მოგცემთ, მე თავს შევიკავებ."

ზვიად ნაკაიძის ინფორმაციით, მთელი არჩევნების განმავლობაში საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ ან საუბნო-საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო ოლქში საჩივარი საერთოდ არ შესულა:

,, — რაც შეეხება სხვას, სულ ოთხი საჩივარი განვიხილეთ.

პირველი, ეს გახლდათ საიას მიერ შემოტანილი საჩივარი მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის ადმინისტრაციულ რესურსად გამოყენების გამო. მოკვლევის შედეგად მე შევადგინე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადავაგზავნე ოზურგეთის სასამართლოში. მოსამართლემ 2000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს;

მეორე საჩივარი შეეხებოდა ინფო-9-ის სიუჟეტის საფუძველზე სუფსის რწმუნებულის მიმართ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებულ ფაქტს (კაბინეტში კედელზე ჰქონდა პრეზიდენტის სურათი). ამ ფაქტზეც მე შევადგინე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ოზურგეთის სასამართლოში მოსამართლემ სუფსის რწმუნებული 1000 ლარით დააჯარიმა.

მესამე საჩივარი ოლქში შემოვიდა ,,ნაციონალური მოძრაობიდან" — გამგეობის აპარატის თანამშრომლის სალომე ზენაიშვილის მიმართ სამუშაო საათებში აგიტაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მან სამუშაო საათებში მონაწილეობა მიიღო წყალწმინდაში საარჩევნო სუბიექტის მიერ მოწყობილ შეხვედრაში, რის შესახებაც სიუჟეტი ინფო-9-ზეც იდო.

თვითონ სალომე ზენაიშვილს ეს ფაქტი არ უარყვია და დაადასტურა, რომ შეხვედრაში მონაწილეობდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებითაც მე შევადგინე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც ოზურგეთის სასამართლომ არ დააკმაყოფილა. შემდეგ ჩვენ, ოლქმა გავასაჩივრეთ ზემო ინსტანციაში, მაგრამ იქ სულ არ დაგვიბარეს, ზეპირი მოსმენით სასამართლომ ძალაში დატოვა ოზურგეთის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მოტივი იყო ის, რომ სალომე ზენაიშვილი არის საჯარო მოსამსახურე და არა მოხელე, რადგან ხელშეკრულებით იყო აყვანილი.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ იგი ჯარიმას იმსახურებდა და ჩვენს პოზიციას ვიცავდით. რომ გვგონებოდა, რომ დამნაშავე არ იქნებოდა, საჩივარს საერთოდ არ შევიტანდით.

რაც შეეხება მეოთხე საჩივარს, ეს იყო საარჩევნო სუბიექტის ,,ქართული ოცნების" მხრიდან შემოსული საჩივარი სამოქალაქო რეესტრის ინციდენტთან დაკავშირებით. სინამდვილეში რწმუნებული იმ ხალხს თან არ ახლდა. მე ვერ ვამტკიცებ, შეიძლება ორგანიზება კი გაუკეთა. აგიტაციას თუ არ ეწეოდა, რწმუნებულს მადლობა უნდა ვუთხრათ თანასოფლელებზე ზრუნვისათვის, თუკი მოიცალა და პირადობების გასაკეთებლად ჩამოიყვანა ისინი. თუმცა სარჩელის წარმომდგენმა ზეპირი დაკითხვისას 25 სექტემბერს აღიარა, რომ არ იკვეთებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და აქცენტი გააკეთა ამომრჩევლის მოსყიდვაზეც და რესურსის გამოყენებაზეც.

ჩვენ განვიხილეთ ეს საქმე და განკარგულებით უარი ვუთხარით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, მეორე მუხლად ჩავწერეთ, რომ საქმე პროკურატურაში უნდა გადაგზავნილიყო. ფაქტობრივად, მათი მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ.

აქ მოხდა საინტერესო რამ, — საარჩევნო სუბიექტის მიერ დანიშნულმა კომისიის წევრებმა, გარდა ,,ლეიბორისტებისა" და ,,ნაციონალებისა", ამ განკარგულების პროკურატურაში გადაგზავნას ხმა არ მისცეს. ჩვენ კომისიის უმრავლესობით მაინც მივიღეთ გადაწყვეტილება და გადავაგზავნეთ პროკურატურაში. შედეგი ჯერ არ ვიცით.

საუბარი მინდა დავასრულო იმ მოსაზრებით, რომ მთავარი იყო ის ფაქტი, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო ადმინისტრაციას არავისთვის არ მიუცია საბაბი, რომ საჩივარი დაწერილიყო."

ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, რომ სასამართლოდან გამოგვეთხოვა ინფორმაცია, თუ რამდენად მოხდა მოსამართლეების გადამზადება საარჩევნო დავების განხილვის მიზნით, ვერ შევძელით, რადგან ლანჩხუთის მაგისტრანტ სასამართლოში მსგავსი საქმეები არ იხილება.

*კესო მახარაძე*

**სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.**

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

UNDEF The United Nations Democracy Fund

# „მე არ მაქვს თანამდებობაზე ყოფნის ამბიცია" — ამბობს სოსო ბოლქვაძე

1 ყველაფერი დამთავრდა არჩევნების გზით — დემოკრატიულად და მშვიდობიანად.

მაგრამ საჭიროდ ვთვლი ვილაპარაკო არჩევნების შემდეგ არასასიამოვნო ფაქტებზე, რომელთაც ადგილი აქვს ლანჩხუთში. საგაზეთოდ მაგალითის მოყვანაც შეიძლება, როგორ ცინიკურად ეუბნებიან გათავისუფლებულ თანამშრომლებს უფროსები, დაბრძანდი სახლში და იოცნებე.

ან რა სინდისით დადიან ლანჩხუთის ქუჩებში რაიონის ახლანდელი და ყოფილი პირველი პირები, მაშინ როცა არჩევნების წინა დღეს თანხებთან ერთად ცემენტი, შიფერი,ეკლიანი მავთულები დაარიგეს და არჩევნების წაგების მერე ხალხისაგან უკან ითხოვენ?!

შტაბისათვისაც და კოალიციაში შემავალი პარტიებისთვისაც კარგადაა ცნობილი ვინ რას მოქმედებდა...

***ლ+ — როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი ხელისუფლება პირველად?***

— საერთოდ, ახალს არაფერს ვიტყვი იმის გამეორებით, რომ კოალიციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას და არა საჯარო სამსხურში დასაქმებას.

ერთ სავალალო ფაქტს მოგიყვებით, — წინასაარჩევნო პერიოდში სათაო ოფისიდან დავალება მივიღეთ, რომ მათთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია 2003-2012 წლებში თუ რამდენი ახალი შენობა აიგო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. აღმოჩნდა , რომ ასეთი იყო მხოლოდ ოთხი, აქედან სამი პოლიციის შენობაა, ერთი კი ნიგოითში აშენებული სოფლის სახლი თუ ასეთი რაღაცაა.

***ლ+ — კი მაგრამ, სტადიონი?!...***

— ძალიან მტკივა გული სტადიონთან დაკავშირებით. საინტერესოა ვინ დაწერა დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სტადიონი უვარგისი იყო, მე ძველის გამაგრება უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნდა. აწი ამ სტადიონს ექვს მილიონზე მეტი სჭირდება...

***ლ+ — ბატონო სოსო, თქვენ ჯერ კიდევ არჩევნებამდე რაგბის კომპლექსის აშენება გინდოდათ.***

— კი, იყო ასეთი რამ. მარტის თვეში შევთავაზეთ მაშინდელ გამგებელს გიორგი გოგუაძეს რაგბის კომპლექსის ასაშენებლად მიწის გამოყოფისთვის ნებართვა. იგეგმებოდა ორი, — ხელოვნურსაფარიანი და მინდვრის კომპლექსის აშენება, რომელსაც 4,5 ჰექტარი მიწის ფართობი ესაჭიროებოდა.

კომპანია „აბუ"-ს ხელმძღვანელობამ მთხოვა გამერკვია და მიმეღო მიწის გამოყოფასთან დაკავშირებით ნებერთვა. თან საქმეში ჩაერთო სპორტული ცენტრის დირექტორი მინდია დვალიშვილი.

მიწა შეიძლებოდა რაგბის დამოუკიდებელ ფედერაციას გადასცემოდა უზუფრუქტით ან სხვა რომელიმე წესით.

მაშინ გამგეობამ უარი განაცხადა, ეთერ ჭყონიამ გვიპასუხა, გამგებელმა ფედერაციაში გადარეკა და იქ არაფერი იციან ლანჩხუთში რაგბის კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებითო.

როგორ ეცოდინებოდათ, როცა მიწის საკითხი, რომელზეც კომპლექსის მშენებლობა უნდა დაგვეწყო, არ იყო გადაწყვეტილი. ვფიქრობ, ახლა დროა ეს საკითხი ისევ დადგეს დღის წესრიგში.

***ლ+ — რადგან შენობებსა და მშენებლობებზე ვსაუბრობთ, იქნებ „აჯანყებული გურულის" ძეგლთან დაკავშირებითაც გვესაუბრა, ხუმრობით ამბობენ, „გადარეული გურული" წაქცეული დიდხანს ვერ გაჩერდებაო...***

— კი, ძეგლის დაბრუნებას ვაპირებთ. ამის შესახებ ხალხმა არაერთხელ მოგვმართა. არქიტექტორები გია ხოფერია და ზაურ ორაგველიძე უკვე იწყებენ მუშაობას ძეგლის საყრდენზე. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვინც იქნება რაიონის ხელმძღვანელობა, დავსვამთ ძეგლის ქალაქის ტერიტორიაზე დაბრუნების საკითხს. კაცმა არ იცის ვისი განკარგულებით მოხდა თავის დროზე ამ ძეგლის აღება, რა იყო მიზეზი...

და საერთოდ ჯობს ასეთი საკითხები საზოგადოების ფართო წრეებში განხილვის საგნად იქცეს. იმედი მაქვს მომავალი მთავრობა უფრო ფრთხილად მოიქცევა მსგავსი საკითხების გადაწყვეტის მიღებისას და დაეკითხება საზოგადოებას.

*ესაუბრა*
***კესო მახარაძე***

გვერდის რედაქტორი: **კესო მახარაძე**